

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №22, 18.05.2005 წ. მუხლი 151) შევიდეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის:

ა) „ა.გ)“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით“;

ბ) „ა.დ)“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.დ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახსრებით“;

გ) „ა.ზ)“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.ზ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის (გარდა წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირისა) სახსრებით, ამ სახსრების წარმოშობის წყაროს მიუხედავად“;

დ) „ა.თ)“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე) „ა.ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) საქონელი – ნებისმიერი სახისა და აღწერილობის ქონება, გარდა უძრავი ქონებისა), როგორც მყარ, ისე თხევად ან აირად მდგომარეობაში, აგრეთვე ელექტროენერგია, საქონლის მიწოდების თანმდევი მომსახურება, თუ ამ მომსახურების ღირებულება არ აღემატება საქონლის ღირებულებას“;

ვ) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) მომსახურება – შესყიდვის ნებისმიერი ობიექტი, საქონლის, სამუშაოს და უძრავი ქონების იჯარისა და ქირავნობის გარდა“;

ზ) „მ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

2. კანონის მე-4 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. სააგენტოს, როგორც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელ ან განხორციელებულ შესყიდვებთან და შესყიდვის პროცედურებზე ზედამხედველობასთან დაკავშირებულ ფუნქციებს ასრულებს სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭო“.

3. კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „ა)“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) განეკუთვნება ამ კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ პირთა კატეგორიას“;

4. კანონის მე-9 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების წესი უნდა შეესაბამებოდეს „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონს“

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. შესყიდვების წლიურ გეგმას ამტკიცებს შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელი და წარუდგენს სააგენტოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტების შესახებ შესაბამისი ნორმატიული აქტის ამოქმედებიდან არა უგვიანეს 20 კალენდარული დღისა, გარდა ამ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ზ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სახსრებით შესყიდვების განმახორციელებელი პირებისა, რომლებიც შესყიდვების წლიურ გეგმას სააგენტოს წარუდგენენ არა უგვიანეს 20 თებერვლისა“

ე) მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

5. კანონის მე-10 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ფასთა კოტირება – გამოიყენება იმ საქონლის ან მომსახურების შესყიდვისათვის, რომლის სავარაუდო ღირებულება აღემატება 20 000 ლარს და ნაკლებია 50 000 ლარზე, აგრეთვე იმ სამუშაოს შესყიდვისათვის, რომლის სავარაუდო ღირებულება აღემატება 50 000 ლარს და ნაკლებია 120 000 ლარზე“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. შესყიდვა ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით ხორციელდება, თუ“;

ე) მე-6 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

6. კანონის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სატენდერო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს:

ა) პირი, რომელიც არის პრეტენდენტი ფიზიკური პირის ან იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრი, გამგეობის წევრი, თავმჯდომარე) ახლო ნათესავი (და, ძმა, მეუღლე, დედა, მამა, შვილი, შვილიშვილი, ბიძა (დედის ძმა, მამის ძმა), დეიდა, მამიდა, დისშვილი, ძმისშვილი, ბებია, პაპა, ნათლია, ნათლული);

ბ) პრეტენდენტი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ან წევრობაზე დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის დამფუძნებელი, წევრი, გამგეობის წევრი, თავმჯდომარე ან მმართველობითი ფუნქციის მქონე ორგანოს წევრი, აგრეთვე ამ პირთა ახლო ნათესავი (და, ძმა, მეუღლე, დედა, მამა, შვილი, შვილიშვილი, ბიძა (დედის ძმა, მამის ძმა), დეიდა, მამიდა, დისშვილი, ძმისშვილი, ბებია, პაპა, ნათლია, ნათლული);

გ) პირი რომელიც არის პრეტენდენტი იურიდიული პირის პარტნიორი, აქციონერი, კომანდიტი, კომპლემენტარი და ასეთ პირთა ახლო ნათესავი (და, ძმა, მეუღლე, დედა, მამა, შვილი, შვილიშვილი, ბიძა (დედის ძმა, მამის ძმა), დეიდა, მამიდა, დისშვილი, ძმისშვილი, ბებია, პაპა, ნათლია, ნათლული);

დ) პირი რომელიც არის პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელი, ხელმძღვანელი ორგანოს წევრი ან წარმომადგენლობაზე (სრული ან შეზღუდული) უფლებამოსილი პირი, აგრეთვე პროკურისტი;

ე) პირი რომელიც თვითონ წარმოადგენს პრეტენდენტს“;

7. კანონის მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 და მე-10 პუნქტები:

„9. სატენდერო კომისიის აპარატის წევრებზე, ექსპერტებსა და კონსულტანტებზე ვრცელდება ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვები. სატენდერო კომისიის აპარატის წევრები სატენდერო პროცედურების მიმდინარეობისას (დოკუმენტაციის მომზადება-გაცემა, კომისიის სხდომები, ხელშეკრულების გაფორმება, ინსპექტირება) თავისუფლდებიან ძირითად სამუშაო ადგილზე მათთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებისაგან.

10. სატენდერო კომისიის წევრები პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილ წინადადებებს აფასებენ დამოუკიდებლად და ერთმანეთისგან განცალკევებით. სატენდერო კომისიის წევრთა შეფასებები წარდგენილ უნდა იქნეს დალუქული კონვერტის სახით. სატენდერო კომისიის წევრთა მიერ წარდგენილი შემსყიდველი ორგანიზაციის ბეჭდით დალუქული კონვერტები (რომლებზეც დაუშვებელია რაიმე აღნიშვნის ან წარწერის გაკეთება) იხსნება პრეტენდენტთა თანდასწრებით. პრეტენდენტთა არყოფნის შემთხვევაში კონვერტების გახსნა გადაიდება მომდევნო მე-2 სამუშაო დღეს, რომელზეც პრეტენდენტთა გამოუცხადებლობის მიუხედავად კონვერტები იხსნება. სატენდერო კომისიის წევრზე ზეგავლენის მოხდენა ან სატენდერო წინადადებების შეფასების პროცესში სხვა ნებისმიერი ჩარევა იხჯება კანონით“;

8. კანონის მე-12 მუხლის:

ა) პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ა) სააგენტოს ნორმატიული აქტით განსაზღვრულ საინფორმაციო საშუალებაში“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. ტენდერის ჩატარებისას შესაძლებელია ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების დამატებით გავრცელება შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრულ საინფორმაციო საშუალებაში. ამასთან ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადება პირველად უნდა გამოქვეყნდეს სააგენტოს ნორმატიული აქტით განსაზღვრულ საინფორმაციო საშუალებაში, შესაბამისად განცხადებით გათვალისწინებული ვადების ათვლა ხორციელდება სააგენტოს ნორმატიული აქტით განსაზღვრულ საინფორმაციო საშუალებაში ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.“;

გ) მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
~~„დ) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების წარდგენის თარიღი (კალენდარული, სამუშაო დღე) და დროის პერიოდი (რომელიც არ უნდა იყოს შემსყიდველ ორგანიზაციაში არსებული სამუშაო საათების ოდენობაზე ნაკლები)“~~

დ) მე-4 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ“ ქვეპუნქტი:
„თ) სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში, თუ სამშენებლო ობიექტი განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული იმ ტერიტორიებისა რომლებზეც ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია) მითითებას, რომ ამ სამუშაოს შესრულებაში მონაწილე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა-მოსამსახურეების არანაკლებ 70% უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები.“;

ე) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას, ~~აგრეთვე საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების წარდგენის თარიღს (კალენდარული, სამუშაო დღე), დროის პერიოდს (რომელიც არ უნდა იყოს შემსყიდველ ორგანიზაციაში არსებულ სამუშაო საათების ოდენობაზე ნაკლები), დაწყებისა და დასრულების დროს ამტკიცებს სატენდერო კომისია. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების წარდგენის თარიღი უნდა იყოს მხოლოდ ერთი კალენდარული, სამუშაო დღე“;~~

ვ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„6. სატენდერო კომისია ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებას აქვეყნებს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა

და სატენდერო წინადადებების წარდგენის თარიღამდე არანაკლებ 20 კალენდარული დღისა“

ზ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში შეტანილი ცვლილებები უნდა გამოქვეყნდეს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების წარდგენის თარიღამდე (კალენდარული, სამუშაო დღე) არა უგვიანეს 5 კალენდარული დღისა“

9. კანონის მე-14 მუხლის:

ა) მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) შესყიდვის ობიექტის (გარდა მომსახურებისა) ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების სრულ აღწერას, მათ შორის, შესაბამის ტექნიკურ სპეციფიკაციებს, გეგმებს, ნახაზებსა და ესკიზებს, აგრეთვე შესყიდვის ობიექტის (გარდა მომსახურებისა) ალტერნატიულ ტექნიკურ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, თუ ამას დაუშვებს შემსყიდველი ორგანიზაცია“;

ბ) მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ნ“ ქვეპუნქტი:

„ნ) სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში, თუ სამშენებლო ობიექტი განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული იმ ტერიტორიებისა რომლებზეც ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია), მითითებას, რომ ამ სამუშაოს შესრულებაში მონაწილე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა-მოსამსახურეების არანაკლებ 70% უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები.“

გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. შესყიდვის ობიექტის (გარდა მომსახურებისა) ტექნიკური და ხარისხობრივი მაჩვენებლების აღწერისათვის გამოყენებული ტექსტური მასალები, ტექნიკური სპეციფიკაციები, გეგმები, ნახაზები, ესკიზები და სხვა მასალები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში და საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ სტანდარტებს, ტექნიკურ მაჩვენებლებს, ტერმინოლოგიის და პირობით აღნიშვნებს. შესყიდვის ობიექტის (გარდა მომსახურებისა) აღწერილობაში დაუშვებელია სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის მითითება“.

10. კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სატენდერო წინადადებები (დალუქული კონვერტებით) და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები სატენდერო კომისიას წარედგინება მხოლოდ ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში აღნიშნულ დღეს და დროის პერიოდში. ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადებაში აღნიშნულ დღემდე და დროის პერიოდამდე წარდგენილი სატენდერო წინადადებები (დალუქული კონვერტებით) და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ არ მიიღება. სატენდერო წინადადებების შემცველი დალუქული კონვერტიები იხსნება ერთობლივად, პრეტენდენტთა თანდასწრებით, სატენდერო კომისიის სხდომაზე, სატენდერო წინადადებებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენის დღესვე, ამ დოკუმენტაციის წარდგენის დროის გასვლისთანავე. კონვერტების გახსნის შემდეგ კომისია აცხადებს პრეტენდენტთა მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების ჩამონათვალს, პრეტენდენტთა მიერ სატენდერო წინადადებით გათვალისწინებულ ფასსა და პირობებს, რის შემდგომაც იღებს გადაწყვეტილებას საკვალიფიკაციო შერჩევის, სატენდერო წინადადებების განხილვისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღების ვადების შესახებ“

11. კანონის მე-16 მუხლის

ა) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამუშაოს შესყიდვის შემთხვევაში, თუ სამშენებლო ობიექტი განლაგებულია საქართველოს ტერიტორიაზე (გარდა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებული იმ ტერიტორიებისა რომლებზეც ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია), ამ სამუშაოს შესრულებაში მონაწილე საინჟინრო-ტექნიკური პერსონალისა და მუშა-მოსამსახურეების არანაკლებ 70% უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები. შემსყიდველი ვალდებულია აღნიშნულის შესახებ მიუთითოს განცხადებაში ტენდერის ჩატარების შესახებ და პრეტენდენტისათვის გადაცემულ სატენდერო დოკუმენტაციაში“;

ბ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. თუ საბიუჯეტო (საფინანსო) წლის ბოლომდე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, მომსახურება ან საქონლის მიწოდება ვერ დასრულდა ობიექტური მიზეზებით, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს გააგრძელოს ხელშეკრულების მოქმედების ვადა ამ სამუშაოს, მომსახურების ან საქონლის მიწოდების დასრულებამდე“;

12. კანონის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. აუხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით, ასევე ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სახსრებით შესყიდვების განხორციელებისას სატენდერო დოკუმენტაციის მიღებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეიძლება შემოღებულ იქნეს ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი, რომლის განაკვეთიც არ უნდა აღემატებოდეს ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ სატენდერო მოსაკრებლის განაკვეთს“;

13. კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ორეტაპიანი ტენდერი შეიძლება ჩატარდეს იმ შემთხვევაში, როდესაც შესყიდვის ობიექტის თავისებურებიდან გამომდინარე, შეუძლებელია ყველა ეკონომიკური და ტექნიკური პირობის წინასწარ განსაზღვრა და შემსყიდველ ორგანიზაციას აუცილებლად მიაჩნია ტენდერის პირველ ეტაპზე პრეტენდენტებთან მოლაპარაკება ტექნიკური მაჩვენებლების, ეკონომიკური და სხვა მონაცემების დაზუსტების მიზნით“

14. კანონის 22-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. შესყიდვის შესახებ ანგარიშები ხელმისაწვდომია ყველასათვის. შესყიდვის შესახებ ანგარიშის მოკლე მიმოხილვის მოცულობა, სტრუქტურა, სხვა არსებითი საკითხები, აგრეთვე ანგარიშის მოკლე მიმოხილვის გამოქვეყნების საინფორმაციო საშუალებები და გამოქვეყნების პერიოდულობა განისაზღვრება სააგენტოს ნორმატიული აქტით“;

15. კანონის 23-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 23. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმების, შესყიდვებთან დაკავშირებული ქმედების გასაჩივრებისა და დავის განხილვის სპეციალური წესები

1. ტენდერისა და ფასთა კოტირების საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას გამარჯვებულ პრეტენდენტთან სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება ფორმდება არაუადრეს გამარჯვებულის გამოვლენიდან 5 სამუშაო დღისა.

2. ტენდერისა და ფასთა კოტირების საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვაში

მონაწილე პირებს წერილობით განუმარტავს შესყიდვებთან დაკავშირებული ქმედების ან გადაწყვეტილების გასაჩივრების ამ კანონით განსაზღვრულ წესს, პირობებსა და ვადებს გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუმეტეს 2 სამუშაო დღის ვადაში.

3. ტენდერისა და ფასთა კოტირების საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ ან მონაწილე პირებს შეუძლიათ გაასაჩივრონ შემსყიდველი ორგანიზაციის ან სატენდერო კომისიის ქმედება ან გადაწყვეტილება სააგენტოში, მათთვის გასაჩივრების წესის წერილობითი ცნობის ჩაბარებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში.

4. ტენდერისა და ფასთა კოტირების საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ ან მონაწილე პირები საჩივარს წარადგენენ შემსყიდველ ორგანიზაციაში, რომელიც საჩივრის წარდგენიდან არაუმეტეს 3 სამუშაო დღისა საჩივარს, შესყიდვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლებსა და საკუთარ მოსაზრებებს წარუდგენს სააგენტოს. საჩივრის წარდგენის შემთხვევაში სააგენტოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე შემსყიდველ ორგანიზაციას არ აქვს შესყიდვის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება.

5. ტენდერისა და ფასთა კოტირების საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი ან მონაწილე პირის მიერ საჩივარის წარდგენის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შეაჩეროს შესყიდვა სააგენტოს ნორმატიული აქტით განსაზღვრული ვადით, მაგრამ არანაკლებ 7 სამუშაო დღისა.

6. ტენდერისა და ფასთა კოტირების საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი ან მონაწილე პირის საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილება გამოაქვს სააგენტოს საჩივრისა და თანდართული დოკუმენტაციის წარდგენიდან 7 სამუშაო დღის ვადაში. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ ან მონაწილე პირს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლოში გაასაჩივროს სააგენტოს გადაწყვეტილება.

7. იმ შემთხვევაში თუ საჩივრის განხილვისას დადასტურდება საჩივრის საფუძვლიანობა სააგენტო უფლებამოსილია:

ა) მიუთითოს შემსყიდველ ორგანიზაციას და/ან სატენდერო კომისიას არასწორ ქმედებაზე და მოითხოვოს შესყიდვის პროცედურების კანონმდებლობის დაცვით განხორციელება;

ბ) მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას და/ან სატენდერო კომისიას მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვა ან გაუქმება;

გ) შესაბამისი ორგანოების წინაშე დააყენოს შემსყიდველი ორგანიზაციის თანამდებობის პირთა და/ან სატენდერო კომისიის წევრთა პასუხისმგებლობის საკითხი.

8. შემსყიდველ ორგანიზაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უფლება აქვს გაასაჩივროს სააგენტოს მიერ ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება სასამართლოში. ამასთან შემსყიდველი ორგანიზაცია არ არის უფლებამოსილი გააფორმოს ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

9. ტენდერისა და ფასთა კოტირების საშუალებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი ან მონაწილე პირის საჩივრის განხილვისას სააგენტო უფლებამოსილია მოიწვიოს და საკუთარი მოსაზრების წარდგენის საშუალება მისცეს საჩივრის წარმდგენ პირს. საჩივრის განხილვის წესები და პროცედურები განისაზღვრება სააგენტოს ნორმატიული აქტით.

10. გასაჩივრებას არ ექვემდებარება ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების დაცვით შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესყიდვის საშუალების შერჩევის შესახებ.

11. ამ მუხლით დადგენილი წესები არ ვრცელდება ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით სახელმწიფო შესყიდვაზე. ერთ პირთან

მოლაპარაკების საშუალებით სახელმწიფო შესყიდვისას დავის საგანი შეიძლება იყოს გაფორმებული ხელშეკრულების კანონშესაბამისობა (ბათილად ან ძალადაკარგულად გამოცხადება) ან ხელშეკრულების შეცვლა. ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით სახელმწიფო შესყიდვისას დავას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილავს სასამართლო.“

მუხლი 2. საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ წინამდებარე კანონის გამოქვეყნებიდან 14 დღის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ნორმატიული აქტების შესაბამისობაში მოყვანა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონთან;

მუხლი 3. ეს კანონი, გარდა მე-2 მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-20 დღეს.

მუხლი 4. კანონის მე-2 მუხლი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი